



თბილისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის ენისა და კულტურის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენა, თარგმანი, ლიტერატურა

X



გამომცემლობა
„ენა და კულტურა“
2005 წ.

სოფი ბაი
(მთარგმნელი ქ. ჯაში)
ნანსის უნივერსიტეტი 2

სქესი და კოჟუნიკაციის პროცესი

სოციოლინგვისტიკა გვასწავლის, რომ ზოგიერთ სოციოკულტურული ჯგუფისათვის დამახასიათებელია ისეთი ენობრივი ვარიანტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ამა თუ იმ ინდივიდის სოციალური მდგომარეობა (განათლების დონე, სამუშაო ადგილი, წარმომავლობა თუ საცხოვრებელი ადგილი) მისი ლაპარაკის მანერის მიხედვით. ამ ენობრივ ვარიანტებს სოციალური ფუნქცია გააჩნიათ. ისინი გამოიყენება ინდივიდის სოციალური ვინაობის გამოსახატავად.

სოციალური ვინაობა ყალიბდება იმ ნორმების ათვისებით, რომლებიც წარმართავს ადამიანის ქცევის არჩევანს. სოციალური ვინაობა გამოიხატება მრავალი სოციალური საქმიანობით(იმ ხელობით, რომელსაც ადამიანი მისდევს, გართობის ფორმით, ჩაცმის მანერით და სხვ.). ენა, ვინაიდან სოციალური პრაქტიკის სფეროს განეკუთვნება, ისიც აგრეთვე ადამიანის ვინაობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს.

პიროვნების ვინაობის დასადგენად, ერთ-ერთი პირველი (თუ არა ძირითადი) ელემენტია მისი სქესი. თუმცა, ქალებად არ იბადებიან, ქალებად ყალიბდებიან ამბობდნენ ფემინისტი ქალები 1970 წელს სიმონა დე ბოვუარის ჩაგონებით. იმისათვის, რომ გახდეს ქალი ან მამაკაცი, საჭიროა, სხვა რამესთან ერთად ისწავლო ქცევის ნორმები, რომლებიც შენ სქესს შეესაბამება ანუ აითვისო ისეთი მანერები, რომლებიც სოციო-კულტურული თვალსაზრისით განსაზღვრულ მანერებს შეესაბამება.

წინამდებარე სტატია აქცენტს აკეთებს იმ გამოკვლევებზე, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ

გამოავლინოს ენობრივი და კომუნიკაციური ნორმების არსებობა, რომლებიც დაკავშირებულია სქესთან და რომელიც ალბათ შესძლებს ახსნას ერთი და იმავე ენობრივ საზოგადოებაში მყოფ ქალთა და მამაკაცთა მიერ გამოყენებულ ნორმებს შორის არსებული განსხვავებანი.

ენობრივ ნორმათა ცვალებადობა.

პარა-ვერბალური სფერო.

ჩაცმის მანერა(9) ავლენს სოციალურ ვინაობას, რომლისათვისაც სქესი ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია. საკმარისია წარმოვიდგინოთ ის სირთულე, რომელსაც წააწყდნენ მოდის შემქმნელები, რათა დაენერგათ მამაკაცის ქვედა ბოლო ან წარმოვიდგინოთ თუ რა რეაქცია მოჰყვა იმ დროს, იმ ქალების ჩაცმულობას, რომლებიც შარვლის ტარების პიონერები გახდნენ. ფეხსაცმელების, სამკაულების სტილი, თმების სიგრძე, მაკიაჟი, ესენიც სქესის ვინაობის დადგენის კოდირებულ ნიშნებს წარმოადგენს. ზოგიერთი ყესტი, დგომის ან ჯდომის პოზა, სიარულის მანერა ასევე განსხვავებულია მამაკაცებსა და ქალებს შორის.

სხვა სფეროს თუ განვიხილავთ(19), ბავშვები ძალიან ადრეულ ასაკში ითვისებენ ალბათ ხმის ტემბრს და ინტონაციას, რომელიც მათ სქესს მიესადაგება, რისი ახსნაც სახმო აპარატის ფიზიოლოგიურ განსხვავებას არ შეუძლია. 3-დან 5 წლამდე ასაკის ბიჭუნები ალბათ ითვისებენ ქცევის ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ისინი იმავე ასაკის მქონე პატარა გოგონებისაგან. პატარა ბიჭი, როდესაც ლაპარაკს სწავლობს, თავისი ქცევის მანერით სცილდება მისთვის ცნობილ პირველად ნორმას¹, ესაა მისი დედა, ქალური ნორმა, რომელსაც პატარა გოგონა ირგებს.

¹ ალბათ საინტერესო იქნება აღვნიშნოთ აქ, რომ "სექსოლექტალური" კვლევებით მიიჩნევენ დიდი ხნის განმავლობაში, რომ ქალური ნორმის ვარიანტები, ეს წამდვილად მამრობითი სქესის ნორმიდან გადახრაა. მაგრამ სულ პირველი კომუნიკაციური ნორმა, რომელთანაც ინდივიდს

ვერბალური სფერო : ფონოლოგია, ლექსიკა, სინტაქსი

1. ფონოლოგია : ბგერები და ინტონაცია.

ზოგიერთ ენაში, რომელსაც პრიმიტიული კულტურის ენებად მიიჩნევენ, ზოგიერთმა ანტროპოლოგმა გამოყო სქესის მიხედვით აღნუსხული განსაკუთრებული ფონოლოგიური ვარიანტები. როგორც ჩანს, ასეთი ტიპის ვარიანტები უფრო ხშირია ისეთ საზოგადოებაში, სადაც სქესის მიხედვით როლების განაწილება უფრო ძლიერადაა გამოხატული(4). სამაგიეროდ დასავლურ საზოგადოებაში, სადაც სქესთა თანასწორობისათვის მოძრაობა დიდი ხნის წინ დაიწყო და სადაც როლები ნაკლებად მკაცრადაა დიფერენცირებული, მცირე რაოდენობის ნაშრომი თუ მოიძებნება, რომლებშიც ფონოლოგიური ვარიანტები არსებობდეს და მკაცრად ყოფილიყოს გამიჯნული ქალების ან მამაკაცებისათვის. თუმცა მრავალი ანგლო-საქსონური თუ ზოგიერთი ფრანკოფონური წარმოშობის ლინგვისტური ნაშრომი გვიჩვენებს, რომ კაცები და ქალები, რომლებიც ერთი და იმავე სოციალურ ფენას განეკუთვნებიან ყოველთვის როდი იზიარებენ წარმოთქმის ერთი და იგივე ნორმებს, რადგან ისინი არ ცდილობენ დაემსგავსონ ერთი და იმავე (პრესტიჟული ჯგუფების) მოდელებს(14,25,26,13,20).

ინტონაციის თვალსაზრისით, ფონოსტილისტიკაში ფრანგული და ანგლო-საქსონური კვლევები (22,16) გვასწავლიან, რომ ზოგიერთი პროსოდიული ნიშნები(უფრო სწორად ფონოსტილემის ცნება)სქესის მიხედვითაა აღნუსხული. მაგალითად : ის, რასაც კარტონი(5) უწოდებს ხმოვანთა ეპითეზას(*Бон-ჯოურ-ე*), რომელიც დღეს გაქრობის პროცესშია, ნათლად ახასიათებდა რამდენიმე წლის წინ ზოგიერთი ახალგაზრდა ქალის მეტყველებას. ზოგიერთი ფონოსტილემა ალბათ უფრო დამახასიათებელი იქნება ქალებისათვის და მათ გამოყენებას ერიდებიან მამაკაცები, რადგან ამით

შეხება აქვს, ეს ხომ ქალია? რომელიც უმეტეს შემთხვევაში ის თავის ზრუნვას ახარჯავს ახალშობილს.

შეიძლება საფრთხეში ჩააგდონ საკუთარი მამაკაცური თვითმყოფადობა. მაგრამ სხვა შრომები ამ ჰიპოთეზას უარყოფენ(6,7).

2. ლექსიკა

ერთი და იმავე საზოგადოებაში მცხოვრებმა ქალებმა და მამაკაცებმა შეიძლება წარმოადგინონ ლექსიკური ცვლილებები, რომლებიც გამომდინარეობს იმ სოციალური პრესისაგან, რომლებსაც ისინი განიცდიან, როგორც განსხვავებული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. ზნეობრივმა და რელიგიურმა ტაბუმ და სქესმა ამგვარად შეიძლება წარმოქმნას ლექსიკური დიფერენციაცია.

აპ ტაბუ

უამრავ საზოგადოებაში არსებობს სოციალური ტაბუ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ლექსიკური ელემენტების გამოყენებაზე. ზოგჯერ იძულებული ვართ გამოვიყენოთ ეს აკრძალვები, თუმცა კარგად ვიცით, რომ საქმე ეხება ტაბუდადებულ თემებს. განა იმიტომ არ ხდება ეს, რომ ისინი დავამკვიდროთ ენაში ანდა იმ თვისების გამო, რომლებიც ვალდებულებისაგან გვანთავისუფლებს(მაგალითად, ძლიერი ტკივილის დროს განა არ ამბობენ ცელა ფაიტ დუ ბიენ დე ჯურერ!) - გინება შვებას გაძლევს! ამ აკრძალვის გამოყენების აუცილებლობა ზოგიერთ სტრატეგიას უდევს საფუძვლად, რომლის რეალიზებაც ხდება მოსაუბრის მიერ კომუნიკაციის პროცესში. პირველი სტრატეგია გახლავთ, თავი ავარიდოთ იმ ტაბუს, რომელიც ქცევით ვლინდება. შევცვალოთ ტაბუდადებული სიტყვა, რომელიმე უესტით, ესაა არა სიტყვიერი სტრატეგია; სიტყვიერ სტრატეგიებიდან შეიძლება გავიხსენოთ უამრავი მეტაფორა, რომლებითაც სასქესო ორგანოების ნომინაცია ხდება ანდა შევცვალოთ სიტყვის წარმოთქმა, რომ გამოვხატოთ გამოუხატავი რამ(ვთქვათ მორბლეუ! 1 ან პარბლეუ!, რომ არ შევურაცხყოთ ღვთის სახელი) ანდა სხვა ენა გამოვიყენოთ(21).

ქალებისა თუ მამაკაცების მიერ ზოგიერთი სიტყვის განსაკუთრებული გამოყენების წესი(ზოგიერთი სიტყვა

აკრძალულია ერთი ან მეორე სქესისათვის), ავლენს ხშირად სოციალურ ტაბუს, რომელიც სხვადასხვაგვარად ზეგავლენას ახდენს მეტყველებაზე, რომელიც დამახასიათებელია თითოეული სქესისათვის(პარლერ ცომმე უნე ფემმელეტტე-ქალაჩუნასავით საუბარი, პარლერ ცომმე უნ ცჰარრეტეიერ -მეურმესავით საუბარი, ანუ გინება). დასავლურ საზოგადოებაში, გინებას და უხემ სიტყვებს უფრო ადვილად იტანენ კაცები ვიდრე ქალები. ასეთ წრეებში მამაკაცები იყენებენ უფრო ხშირად ნიშანდებულ სიტყვებს ე. წ. უნესო სიტყვებს. ქალებს შეუძლიათ გამოიყენონ არანიშანდებული სიტყვები და შემარბილებელი მეტაფორები ან გარდაქმნან ტაბუდადებული სიტყვები აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში. (მაგ.: ერდუმ ან მერ'ცრედი ვიკონტ კამბრონის მიერ იქნა შემოტანილი). აქედან გამომდინარეობს ორი განსხვავებული ლექსიკური ჯგუფის არსებობა ან უფრო სწორად ლექსიკური ტერმინების მთელი რიგი, რომელიც მდებარეობს პოლუსიდან მამრობითისაკენ მიემართება, გაივლის იმ ზონას, რომელშიც არსებული სიტყვები საერთოა ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის. თუ ერთ-ერთი სქესის მიერ გამოყენებული სიტყვა ხდება სხვა სოციალური ფენის მამაკაცებისა და ქალებისათვის პრესტიჟული ნორმა, სიტყვის ასეთი გამოყენება შეიძლება გაფართოვდეს და გადაიქცეს სოციალურ ნორმად (უმეტესობის ქცევის თვალსაზრისით), რომელიც გამოყენებული იქნება ორივე სქესის მიერ ანდა სქესის მიხედვით შეიქმნება გარკვეული სტერეოტიპი(რომელიც გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ გაძლიეროს ვინაობა ანდა გამოხატოს იდენტიფიკაციის სურვილი).

ბ. როლების განაწილება სქესის მიხედვით

საუბრის თემატიკით, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს ხან ერთი და ხან მეორე სქესი (2) შეიძლება აისახოს ის ადგილი და როლი, რომელიც მათ სოციალურად უკავიათ(კერძო თუ საზოგადოებრივი სფეროები). ასე მაგალითად: მექანიკა, მანქანები, ფეხბურთი, ჩხირკედლაობა, ქალები, მეცინერება და ტექნიკა, ეს ის თემებია, რომლებიც ასოცირდება მამაკაცთან; ოჯახი, გრძნობები(მათ შორის სიყვარული), სამზარეულო და

¹ ორივე ეს სიტყვა ნანარმოებია mort de Dieu-ს დამახინჯების შედეგად(ქ.ჯამი)

კაცები, ასოცირდება ქალთან(2). ასეთი, სქესის მიხედვით სასაუბრო თემატიკის გამოყოფა გამომდინარეობს ლექსიკის სპეციალიზაციისაგან. მამაკაცები და ქალები შესაბამისად უფრო გათვითცნობიერებულნი არიან ამა თუ იმ სფეროში. Bზოვე(3) ეშმაკურად ახდენს ამ სპეციალიზაციის ილუსტრირებას პატარა მოცულობის წარმოსახვითი და სტერეოტიპული დიალოგების მეშვეობით, რომელთაგან მე წარმოგიდგენთ ქვემოთ რამდენიმე ნაწყვეტს.

მამაკაცების საუბარი	ქალების საუბარი
« Moi, je te dis que Strasbourg descendra pas. Si ça se trouve, ils vont même piquer le challenge Ackermann à Nantes. -Déconne pas, ils vont jouer à Furiani et c'est pas là qu'ils prendront le bonus. -Oh, tu sais. le S.E.C.B. il est plus si bon qu'avant chez lui. -De toute façon, ils auront pas à disputer les barrages ! T'as vu le match d'hier ? Ils ont pas quitté la surface de réparation pendant la première mi-temps. -Tu charries. T'as pas vu la talonnade ? Ils ont bien failli en encaisser un. -Oui. mais Dropsy était bien sorti. -Officiel. Il a mérité sa place dans l'équipe B... »	«Chocolats. C'est du Suisse. C'est un steward qui me rapporte aussi du saumon fumé de temps en temps de Norvège. -Non merci. -T'aimes pas ? -J'aime ça, mais c'est mon foie qui aime pas. -C'est pas plutôt les calories qui te font peur ? Avoue. -Tant qu'à faire, vaut mieux éviter. mais de toutes façons j'ai un régime diététique extraordinaire à base de protéine qui se neutralisent... Mieux que le macrobiotique. Le matin tu commences par un yaourt sans sucre ... -Moi, je m'en fous, il m'aime comme je suis... -Au fait ça va toujours avec lui ?... »

ზოგიერთი ნაშრომი გვთავაზობს, რომ ის დადებითად მახასიათებელი ტერმინები, რომელსაც უპირატესობას ანიჭებენ მამაკაცები ან ქალები ასახავს ფსიქოლოგიურ ღირსებებს, რომელიც უფრო ძლიერდება თითოეულ სქესში იმ როლით, რომელიც მას უკავია: ქალური სინაზე,

მამაკაცური ძალა(22 ანკეტირებას აწარმოებდნენ 1977-1986 წლებში).

მამაკაცური სტერეოტიპი -ნორმა- ქალური სტერეოტიპი
< _____ >
“მამაკაცური” ტერმინები- სქესის მიხედვით არანიშანდებული სიტყვები-«ქალური» ტერმინები
გინება merde-puntain-bordel -flûte-mince -zut
დადებითი დახასიათება
Voilà qui est très beau C'est Voilà qui est fort joli
C'est chouette Comme c'est mignon
C'est adorable C'est mignon tout plein
(hudbeinis gamouqveynebli masala)

3. სინტაქსი

ხშირად უთქვამთ, რომ ქალების მიერ გამოყენებული სინტაქსი უფრო მეტად შეესაბამება დადგენილ ნორმას ვიდრე მამაკაცების მიერ გამოყენებული სინტაქსი(25, 16). აქ ჩანს ჰიპერკორექციის ტენდენცია, რომელიც იმისათვის გამოიყენება, რომ მოხდეს ქალის სტატუსის სოციალური კომპენსირება. მაგრამ სულაც არ ხდება ქეშმარიტი სინტაქსური დიფერენციაციის მაგალითების გამოყოფა, რომელიც დაკავშირებულია მოსაუბრის სქესთან. სამაგიეროდ აღნიშნავენ ზოგიერთი სინტაქსური

კონსტრუქციის გამოყენებაში უპირატესობას, რომლებიც ზოგიერთ ლექსიკურ ტერმინთან კომბინაციით ანიჭებს ქალის საუბარს არაპირდაპირ ხასიათს, რომელიც უფრო ალბათ ხშირია, ვიდრე მამაკაცებში. მაგალითად ზოგიერთი კვლევის მიხედვით, შუამდგომლობის გამოსახატავად, ბრძანებითი ფორმის ნაცვლად (22), ქალები მიმართავენ მოდალური ტიპის პერიფრაზირებას.

ამ სექსოლექტური ვარიანტების სხვადასხვა ტიპის სიტყვიერი გამოხატულების კვლევა გვიჩვენებს, რომ არსებობს ერთგვარი დამთხვევა ზრდილობიან ფორმასთან დაკავშირებით: თავაზიანობის გამო ქალებს ურჩევნიათ გამოიყენონ მოდალური ტიპის გამოთქმები. ესენია: ეფემიზმები, ლიტოტა, ჰიპერბოლა (ჩ'ესტ გმნიალ! , მათ უყვართ შემარბილებელი სიტყვები(მონ ცჰოუ , მა პეტიტე ცჰმრიე), გამაძლიერებლები (ჰორრიბლემენტ, ფანტასტიქუე), მათ მოსწონთ ყოყმანი საუბრის მანერა ანდა ექსპრესიული ინტონაციის გამოყენება, როდესაც მაგალითად წარმოადგენენ თხოვნას ანდა ბოდიშს. ქალების ასეთი დიდი თავაზიანობა შეიძლება მკვლევარების აზრით გაპირობებული იყოს ორი განსხვავებული ინტერპრეტაციის ხერხით, ერთი მათგანის მიხედვით ხდება ქალური თვისებების კრიტიკა, მეორეთი კი მისი სათანადოდ შეფასება:

13 ქალები უფრო ზრდილობიანები არიან, რადგან მათზე მამაკაცები ბატონობენ;

23 ქალები უფრო ზრდილობიანები არიან, რადგან უფრო ზრუნავენ იმაზე, რომ დაამყარდეს ერთგვარი ინტერესთა ერთიანობა კომუნიკაციის დროს.

საკომუნიკაციური ნორმის ცვლილება

კომუნიკაციის პროცესის მკვლევარების აზრით განსხვავება თავაზიანობის გამოყენების თვალსაზრისით(ვინ უფრო მეტად თუ ნაკლებადაა თავაზიანი...) შეიძლება დაკავშირებული იყოს ქალთა და მამაკაცთა თავაზიანობის ნორმებში განსხვავებასთან. მამაკაცები არ არიან ალბათ ქალებთან შედარებით ნაკლებ ზრდილობიანები, მაგრამ განსხვავება ალბათ პიროვნებათა შორის კომუნიკაციის

შესაბამის კონცეფციაშია, რომელიც ალბათ ყოველთვის როდი დაექვემდებარება დისკურსის წარმოებისა და ინტერპრეტაციის ერთი და იმავე კანონებს. ქალები და მამაკაცები ერთნაირად ფლობენ მეტყველების კოდს, შესაძლებელია განსხვავდებოდნენ თავაზიანობის წესების გამოყენებისა და საუბრის მანერის თვალსაზრისით.

თავაზიანობის სტრატეგია

ჰოლმსმა(11,12) ახალ ზელანდიაში გამოყო სექსებს შორის რამდენიმე განსხვავება, თავაზიანობის ორი სტრატეგიის მიხედვით. ესენია: ბოდიშის მოხდა და ქათინაური. თავაზიანობის ამ ორ სტრატეგიას ალბათ არ აქვს ერთი და იგივე სოციალური მნიშვნელობა, და არც ერთი და იგივე ფუნქცია კაცებისა და ქალებისათვის.

ა. მობოდიშება

განსხვავება 1: 183 საქციელის გამოსწორების მიზნით 74,5% დაფიქსირებულ შემთხვევაში ბოდიშს იხდიან ქალები, 73%-ის შემთხვევაში კი მათ უხდიან ბოდიშს.

განსხვავება 2: ბოდიშის მოხდა უფრო ხშირია ქალებს შორის ვიდრე მამაკაცებს შორის.

განსხვავება 3: ქალები ბოდიშს იხდიან უფრო მეტად, როდესაც ისინი სხვის ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან, მაშინ როდესაც მამაკაცები უფრო მეტად ბოდიშს იხდიან დაგვიანების შემთხვევაში.

განსხვავება 4: ქალები ბოდიშს იხდიან შეურაცხყოფის დროს, რაც დაკავშირებულია კომუნიკაციის პროცესთან (საუბრის შეწყვეტა, მოსმენის ნაკლებობა, ძალიან ბევრი ლაპარაკის დროს), ხოლო მამაკაცები კი ბოდიშს იხდიან იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც დაკავშირებულია (რაიმე ნივთის გაფუჭებასა ან დაკარგვასთან, ესენია: კალმისტარი, მანქანა, ნიგნი, ტანსაცმელი, სარეცხი მანქანა).

ბ. ქათინაური

განსხვავება 1: ქათინაურების გაცვლას 484 შემთხვევიდან ლექსიკური კორპუსის მიხედვით სპონტანური

ხასიათი აქვს, 67, 7% ქათინაურებისა ქალების მიერაა წარმოთქმული, ხოლო 74,3% მათთვისაა განკუთვნილი.

განსხვავება 2: მამაკაცები უფრო მეტად ქალებს ეუბნებიან ქათინაურებს, ვიდრე სხვა მამაკაცებს.

განსხვავება 3: ქალები ერთმანეთს უფრო მეტ ქათინაურებს ეუბნებიან, ვიდრე მამაკაცებს, ხოლო მამაკაცები ერთმანეთს არ ეუბნებიან ქათინაურებს.

განსხვავება 4: ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად იყენებენ ჰიპერბოლას, რომელიც აძლიერებს ქათინაურის დადებით ღირებულებას, მაშინ როდესაც მამაკაცები მიმართავენ ლიტოტას, რომელიც ასუსტებს ქათინაურის მნიშვნელობას.

განსხვავება 5: ქალები ერთმანეთს ქათინაურს ეუბნებიან გარეგნობასთან დაკავშირებით, მამაკაცები კი უფრო მეტად ქონებასთან დაკავშირებით.

საუბრის სტრატეგია

ტანენი, მალსი, ბორკერი(24,17,) გვიჩვენებენ ასევე, რომ მამაკაცებმა და ქალებმა განსხვავებული წესები გამოიყენონ მეგობრული საუბრის დროს. შეუფერებელი წესების გამოყენება სხვადასხვა სქესს შორის კონტექსტში, შეიძლება გახდეს ზოგიერთი ინცინდენტის მიზეზი ქალებსა და მამაკაცებს შორის კომუნიკაციის დროს. გაგების სირთულე გამომდინარეობს განსხვავებული წესების არსებობის არ ცოდნისა და უკმარისობით იმის გამო, რომ მოსალოდნელ რეაგირებას არ ჰქონდა ადგილი. 6 სასაუბრო სტრატეგია იქნა დადგენილი, რომელიც იცვლებოდა სქესის შესაბამისად. (17).

შეკითხვის ინტერპრეტაცია და მნიშვნელობა: ქალები შეკითხვას იყენებენ იმისათვის, რომ საუბარი არ შეწყდეს, მამაკაცები კი მხოლოდ ინფორმაციის მისაღებად.

წინადადების დასაწყისი და მისი შემდგომი განვითარება: ისინი ექსპლიციტური ხდება ქალების მიერ, მაშინ როდესაც მამაკაცები კომენტარს არ უკეთებენ.

სიტყვიერი აგრესიის გამოხატვა: უარყოფითი დამოკიდებულებაა ქალების მხრიდან, პირობითია მამაკაცებისათვის.

ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა: სასაუბრო თემა, რომელსაც ქალები ავითარებენ, თანდათანობით გადადის სხვა თემაში: მამაკაცებისათვის დამახასიათებელია მკვეთრად განსაზღვრული თემატიკა, სუბიექტის მონაწილეობა საკითხის ამონაწერამდე, თემის მეტად მკვეთრი შეცვლა.

პრობლემის გაზიარება და ბევრი რჩევის მიცემა: ქალები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ პრობლემებს, უყვებიან საკუთარი გამოცდილების შესახებ და ერთმანეთს ამხნევენ; მამაკაცები რჩევებს აძლევენ პრობლემებთან დაკავშირებით, ტუქსავენ ერთმანეთს, ექსპერტებივით იქცევიან კონკრეტული საკითხის გადაჭრის დროს.

ურთიერთმოქმედი რეგულატორების წარმოქმნა და გამოხატვა: თავის ქნევა, მოკლე კომენტარი "დიახ", "ჰო", ნიშნავს "გისმენთ", განაგრძეთ ქალებში; გეთანხმებით, თქვენს აზრს მივყვები მამაკაცებში.

დასკვნა

უამრავი ემპირიული კვლევა, რომელიც უკვე 30 წელია მიმდინარეობს სექსოლექტური ცვლილებების შესახებ ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო შედეგებს იძლევა. იგი მკვლევართა საკუთარ იდეოლოგიურ წარმოდგენასაც კი გამოხატავს. ამგვარად ამ ნაშრომების მიხედვით, ხან სურთ ხაზი გაუსვან მამაკაცების ქალებზე სოციალურ ბატონობას და იმას, რომ ქალებს ძალაუფლება არ გააჩნიათ საზოგადოებასა და საუბრის დროს, ხან სათანადოდ აფასებენ ზოგიერთ საკომუნიკაციო თვისებას, რომელიც დაკავშირებულია ქალის პიროვნებასთან, რომლის ფუნქციაც ალბათ ისაა, რომ გააძლიეროს სოციალურ ჯგუფში პიროვნებებს შორის ურთიერთობა.

ყველაფერი მაინც მიგვითითებს იმაზე, რომ მამაკაცები და ქალები, რომელთაც ერთი და იგივე კომპეტენციები აქვთ ენობრივი კოდის მართვაში ალბათ ენის გამოყენების ერთი და იმავე სოციალური წესებით არ მოახდენენ ურთიერთობას ერთმანეთში: პიროვნებებს შორის კომუნიკაციის დროს, ეს

განსხვავებული ნორმები შეიძლება დაუპირისპირდეს ერთმანეთს და გამოიწვიოს უფრო კულტურათაშორისი გაუგებრობა, ვიდრე სქესთა შორის გაუგებრობა.

უამრავი კვლევა ამ სფეროში რჩება ამჟამად ჰიპოთეზის დონეზე, რომელიც დამტკიცებას მოითხოვს, მაგრამ ის იძლევა საინტერესო განსჯის საშუალებას, განსაკუთრებით უცხო ენის მასწავლებლებისათვის. მაგალითად ზეპირი კომუნიკაციის ცოდნის ჩამოყალიბება ალბათ შესძლებს გასაგები გახდეს სექსოლექტალური ცვლილების მიმართ რეაგირება, რათა ენის შემსწავლელებმა გაიაზრონ შედარებული საკუთარი ქცევის გამოცდილება.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. Aebischer, V. & Forel, C.(éds), (1983), *Parlers masculin, parlers féminins ?*, paris, Delachaux&Niestlé, 198p.
2. Bailly, S. (1992), *la différenciation sexuelle dans la conversation, Étude descriptive des modalités, des thèmes et des représentations, à partir d'entretiens et d'enquêtes*, Thèse de Doctorat, sous la direction de Houdebine, A.-M., paris V «René Descartes». Sorbonne.
3. Beauvais, R.(1975), *Le français kiskose*, paris, Fayard, 237.
4. Bodine, A. (1983), «Sexocentrisme et recherches linguistiques», in Aebischer, V& Forel, C.(éds), pp.35-63.
5. Carton, F. (1999), « L'épithèse vocalique et son développement en français contemporain », *faits de langues*, 13, pp. 35-45.
6. Dubois, B. L. & Crouch I., (1975) »The question of tag questions in women's speech:they don't really use more of them, do they?, *Language in Society*, 4, pp.289-294.
7. Edelsky, C. (1979), "Question intonation and sex roles", *Language in Society*, 8, pp. 15-32.
8. Giles, H. & Farrar, K. (1979), «Some behavioral consequences of speech and dress styles», *British Journal of social and Clinical Psychology*, 18, pp. 209-10.
9. Gordon, E. (1997), *Sex, speech and stereotypes: Why women use prestige forms more than men*, *language and Society*, 26, pp. 47-63.
10. Gumperz, J. J. (éd), (1982) *Language and Social identity*, cambridge University Press.
11. Holmes, J. (1988), "Paying compliments: a sex-preferential politeness strategy", *Journal of Pragmatics*, 12, pp. 445-465.
12. Holmes, J. (1989), "Sex differences and apologies: one aspect of communicative competence", *Applied Linguistics*, 10, p. 194-213.
13. Houdebine, A.-M. (1979), "La différence sexuelle et la langue », *Langage et société*, 7, pp. 3-30.
14. labov, W.(1972/1976 trad. française), *Sociolinguistique*, Paris, les Éditions de Minuit, 458p.
15. Labov, W. (1998), «Vers une réévaluation de l' insécurité linguistique des femmes», in SINGY, P.(éd), pp. 25-35.
16. Lakoff, R. (1975), *language and Woman's Place*, New-york, harper&Row, 83 p.
17. Maltz, D.N. & Borker, R. A.(1982), "A cultural approach to male-female miscommunication", in Gumperz, J. J. (éd), pp. 196-216.
18. mandelbaum, D.G. (éd), (1951), *Selected writings of E. Sapir in language, culture and paersonality*, Berkeley, University Press of california, 617 p.
19. Meditch, A. (1975), "The development of sex specific speech patterns in young children", *Anthropological Linguistics*, 17, pp. 421-433.
20. Moreau, M.-L. & Beauvois, C .(1998), «L'accomodation comme révélateur de l'insécurité linguistique. Locutrices et locuteurs belges en interaction avec des Français et des Belges» in Singy, P. (éd), pp. 61-73.
21. Morsly, D. (1998), « Femmes algériennes et insécurité linguistique », in Singy, P. (éd), pp. 75-97.
22. Ritchie-Key, M.(1975), *male/Female, language*, Metuchen, N.j. The Scarecrow Press , 200p.
23. Sapir, E. (1951), "Male and Female forms of speech in Yana", in Mandelbaum, D. G. (éd), pp. 206-212.

24. Tannen, D. (1991), *You just don't understand men and women in conversation*, Londres, Random House Australia, 330 p.
25. Trudgill, P. (1974), *Sociolinguistics: an introduction*, Middlesex, England, Penguin Books, 189 p.
26. Trudgill, P. (1998), «Concept de genres, prestige latent et insécurité linguistique », in Singy, P. (éd), pp. 37-57.
27. Singy, P. (1998) *Les femmes et la langue. L'insécurité linguistique en question*, Delachaux et Niestlé.